დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი დისერტაციის ავტორეფერატის გაფორმების ინსტრუქცია

ენა: ავტორეფერატი უნდა შესრულდეს პროგრამის ენაზე. ქართულენოვან ავტორეფერატს უნდა დაერთოს ინგლისური რეზიუმე, ინგლისურენოვან ავტორეფერატს – ქართული რეზიუმე, ხოლო სხვა ენაზე შესრულებულ ავტორეფერატს – ქართული და ინგლისური რეზიუმე. რეზიუმეს მოცულობაა 500-800 სიტყვა.

მოცულობა: ავტორეფერატის მოცულობა ერთი რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს 32 გვერდს, ხოლო ორი რეზიუნეს ჩათვლით – 35 გვერდს; აღნიშნულ რაოდენობაში იგულისხმება ყველა გვერდი.

სტრუქტურა: ავტორეფერატის სატიტულო ფურცელი უნდა გაფორმდეს დანართი 1-ის შესაბამისად. ავტორეფერატში ასახული უნდა იყოს: თემის აქტუალურობა, მეცნიერული სიახლე, სამუშაოს მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, კვლევის ძირითადი შედეგები და შედეგების გამოყენების სფერო, ცნობები დისერტაციის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ, დისერტაციის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით და ზოგადი დასკვნები; ავტორეფერატი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნაშრომის აპრობაციის შესახებ (მოხსენებები კონფერენციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებზე), აგრეთვე გამოქვეყნებული ნაშრომების, პატენტების და საავტორო მოწმობების სიას, რომელთა შინაარსი შეესაბამება დისერტაციის თემატიკას და შედის სადისერტაციო ნაშრომში.

ფურცლის ზომა: ავტორეფერატი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) ფურცელზე, 80 გ/მ^2 სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური.

მინდორი: მარცხენა მხარე – 30 მმ, დანარჩენი მხარეები – 20 მმ.

შრიფტი: ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს რომელიმე სტანდარტული შრიფტით (სასურველია შემდეგი შრიფტები: Sylfaen, AcadNusx, AcadMtav, Litnusx, Literaturuli_BJG_2000), ზომით 12.

თავებისა და ქვეთავების დასახელებები: თავებისა და ქვეთავების დასახელების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან; დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება.

გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი, გარდა სატიტულო ფურცლისა, უნდა იქნეს დანომრილი თანამიმდევრობით. გვერდები ინომრება ქვედა კიდეზე ცენტრში, არაბული ციფრებით. ნომრის შრიფტის ზომა უნდა იყოს 10.

სტრიქონებს შორის მანძილი: ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი უნდა იყოს 1,5.

სატიტულო ფურცელი უნდა გაფორმდეს შემდეგნაირად - იგი უნდა მოიცავდეს ტექსტს: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხელნაწერის უფლებით, დოქტორანტის სახელი და გვარი, სადისერტაციო ნაშრომის დასახელება, სადოქტორო პროგრამა, შიფრი, დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, წელი .

მეორე გვერდზე უნდა განთავსდეს დაწესებულების და სტრუქტურული ერთეულის დასახელება, სადაც შესრულდა ნაშრომი, ხელმძღვანელი, რეცენზენტები, რომელ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის სხდომაზე შედგება დისერტაციის დაცვა, დისერტაციის დაცვის დრო (წელი, თვე, რიცხვი, საათი) და ადგილი (მისამართი, კორპუსისა და აუდიტორიის ნომერი). დისერტაციის დაცვის დრო და ადგილი ჩაიწერება ხელით. ბოლოს ხელს აწერს ფაკულტეტის სწავლული მდივანი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სახელი, გვარი

სადისერტაციო ნაშრომის დასახელება

სადოქტორო პროგრამა----------

შიფრი ----------

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

..... წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში

---------- ფაკულტეტი

---------- დეპარტამენტი

ხელმძღვანელ(ები:----------

რეცენზენტები: ----------

დაცვა შედგება ---------- წლის ”------” ----------, ---------- საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ----------
ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის სხდომაზე,
კორპუსი ----------, აუდიტორია ----------
მისამართი: 0160, თბილისი, …….. № ....

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა – ფაკულტეტის ვებგვერდზე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი ----------